სარიანა მეტსო

ტორონტოს უნივერსიტეტი

საგამომცემლო მიდგომები ლეგალური მასალის გამოყენებისას სამარიტულ და ყუმრანის ტრადიციებში

როგორც ბიბლიურ ასევე არაბიბლიურ ტექსტთა მეორე ტაძრისდროინდელი ხელნაწერები შეიცავენ ერთი და იმავე ტექსტთა პარალელურ გამოცემებს, რომლებიც წარმოაჩენენ საგამომცემლო საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებასა და წყაროთა ურთიერთგავლენას. ამ ეპოქაში მოღვაწე გადამწერთა ფილოლოგიური მიდგომების განსაზღვრისას, რომლებითაც ისინი იურიდიული ხასიათის ტექსტების გამოცემისას ხელმძღვანელობდნენ, თავი იჩინა მეტ-ნაკლებად მოულოდნელმა ასპექტებმა.

მოხსენებაში ერთმანეთს შევუპირისპირებთ სამარიტელ გადამწერთა და მეორე ტაძრის პერიოდის სხვა საზოგადოების – ყუმრანის საზოგადოების – გადამწერთა მიდგომებს იურიდიული შინაარსის ტექსტების გამოცემისას ლევიტელთა წიგნის იურიდიული ტრადიციების მაგალითზე.